№ 94 მთავრობის მოამბე — უოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, 29 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან. 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 1 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 ₰. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის ვაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

ხუთშაბათს, აპრილის 29, მ. ი. ალეშკოს ბენეფისი **„ზ ა ზ ა“.** პარასკევს, აპრილის 30, ორკესტრის ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით I. „რიგოლეტო“. II. „ქორწილი მოლოროსიაში“. შაბათს, მაისის 1, ოპერა მუშებისათვის და საოპერო სეზონის დახურვა „ქეთო და კოტე“.

ამა წლის აპრილის 30-ს დანიშნულია

ახალციხის მაზრის ერობის ხმოსანთა მეორე სრული კრება

ასარჩევია 6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ჯამაგირი 4000 მანეთი თვეში, საგზაო და დღიური ხარჯი უბნის საზღვრებში მიმოსვლისათვის 500 მანეთი თვეში.

მსურველთ შეუძლიათ გამოგზავნონ თხოვნა ქ. ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობის სახელზე. 754 7—6

პირველ ქვეითა ათასეულს
სჭირდება გამოცდილი გეითალ-ფერშალი

თავისუფალ საშტატო ვაკანსიაზე ჩარიცხვით.

მსურველებს პირობების გაგება შეუძლიათ აღნიშნულ ათასეულის კანცელარიაში, ქ. ქუთაისი, რუბანის ქუჩა, ყოველ დღე დილის 9-3 საათამდე, ათასეულის მნესთან, 467 3—2

ოფიციალური განყოფილება

შტატი

იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილისა.

§	მუხლი.	თანამდებობათა სახელწოდება და ხარჯი.	რიცხვი.	თვიურად. ერთს.	თვიურად. ყველას.	წლიურად. ერთს.	წლიურად. ყველას.
19		ტუსაღთა გადაყვან-გადმოსაყვანისა და მათი ბარგის გადასაზიდი	—	—	16180	—	194160
		ჯამი მე-19 §-ისა	—	—	16180	—	194160
20		**შენობის შენახვა და გათბობა.**					
	1	შენობის აგება, უძრავ ქონებათა შეძენა და შენობის მოწყობა	—	—	50000	—	600000
		ჯამი 1 მუხლისა	—	—	50000	—	600000
	2	შენობის შეკეთება	—	—	120000	—	1440000
		ჯამი მე-2 მუხლისა . . .	—	—	120000	—	1440000
		ჯამი მე-20 მუხლასა . .	—	—	170000	—	2040000
21		**შემწეობა სხვა და სხვა შემთხვევის გამო.**					
	1	აღმზდელ და გამასწორებელ დაწესებულებათა შენახვა.	—	—	30000	—	360000
		ჯამი 1 მუხლისა	—	—	30000	—	360000
	2	საერობო დაწესებულებათა მიერ სატუსაღო და საეტაპო ნაწილში გაწეულ ხარჯის ასანაზღაურებლად . . .	—	—	15000	—	180000
		ჯამი მე-2 მუხლისა . . .	—	—	15000	—	180000
		ჯამი მე-21 §-ისა	—	—	45000	—	540000
22		**საპყრობილეთა საავადმყოფოების შენახვა.**					
		პირადი შემადგენლობა ტფილისის საავადმყოფო:					
		უფროსი ექიმი	1	3500	3500	42000	42000
		უმცროსი ექიმი	2	3000	6000	36000	72000
		კბილის ექიმი	1	1800	1800	21600	21000
		აფთიაქის გამგე	1	2000	2000	24000	24000
		სამეურნეო ნაწილის გამგე	1	2000	2000	24000	24000
		უფროსი ფერშალი	1	2000	2000	24000	24000
		უმცროსი ფერშალი	4	1900	7600	22800	91200
		ფერშალი-ბებია ქალი	1	1900	1900	22800	22800
		კოსტელიანშა	1	1225	1225	14700	14700
		ავადმყოფთ მომვლელი	10	1400	14000	16800	168000
		შიკრიკი	1	1225	1225	14700	14700
		ჯამი	24	21950	43250	263400	519000
		ქუთაისის საავადმყოფო.					
		უფროსი ექიმი	1	3000	3000	36000	36000
		უმცროსი ექიმი	2	2800	5600	33600	67200
		კბილის ექიმი	1	1500	1500	18000	18000
		აფთიაქის გამგე	1	1800	1800	21600	21600
		უფროსი ფერშალი	1	1900	1900	22800	22800
		უმცროსი ფერშალი	1	1700	1700	20400	20400
		ავადმყოფთა მომვლელი	6	1400	8400	16800	100800
		შიკრიკი	1	1085	1085	13020	13020
		ჯამი	14	15185	24985	182220	299820
		სოხუმის საავადმყოფო.					
		ექიმი	1	2000	2000	24000	24000
		ფერშალი	2	1500	3000	18000	36000
		ავადმყოფთა მომვლელი	4	1400	5600	16800	67200
		შიკრიკი	1	1085	1085	13020	13020
		ჯამი	9	5985	11685	71820	140220
		რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში (რიცხვი 11).					
		ექიმი	11	1800	19800	21600	227600
		ფერშალი	11	1400	15400	16800	184800
		ავადმყოფთა მომვლელი (ორ-ორი) . .	22	1200	26400	14400	316800
		შიკრიკი (თითო)	11	1015	11165	12180	133980
		ჯამი 1 მუხლისა	101	48535	152685	582420	1832220
	2	საკანცელარიო ხარჯი	—	—	10000	—	120000
		ჯამი მე-2 მუხლისა . .	—	—	10000	—	120000
		ჯამი მე-22 §-ისა	101	48535	162685	582420	1952220
		ჯამი 13-22 §*-ისა . . .	—	314540	7403462-32	3774480	88841560
		ერთიროულად ინვენტარი შესაძენად (საბარგო ავტომობილის შესაძენად).	—	—	—	—	300000
		ხარჯთ-აღრიცხვის საერთო ჯამი .	—	314540	7403462-32	3774480	89141560

შენიშვნა 1: ამ შტატში ჩამოთვლილ მოხელეთაგან საპყრობილეთა ინსპექტორი, მისი თანაშემწენი, ციხის უფროსები, რაზმის უფროსი და ექიმები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ, დანარჩენი მოხელენი კი საპყრობილეთა ინსპექტორის ან ციხის უფროსის მიერ, კუთვნილისამებრ.

შენიშვნა 2: იმ მოხელეს ძირითადი ჯამაგირიდან, რომელსაც ეძლევა სახაზინო ბინა გათბობა-განათებითურთ უნდა დაკავებულ იქნეს 25% ხაზინის სასარგებლოდ გარდა მხლებელთა რაზმისა.

შენიშვნა 3: ყველა საკანცელარიო, სამეურნეო და საგზაო ხარჯი ეძლევათ ავანსის სახით მოხელეთ, ანუ პირდაპირ კრედიტორებს კერძო ასიგნოვკებით.

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

უოველივე რწმუნებულებანი:

მინდობილობის, წერილების, ოქმების ან სხვა რაიმე სახით გაცემული ჩვენ მიერ, როგორც სავაჭრო სახლის

ძმები გ. და ნ. ტერ-აბრამოვების და კომპ.

წევრების მიერ, ამავე სავაჭრო სახლის წევრებისა: ივანე ნიკიტას ძე ტერ-აბრამოვის, ნიკიტა ივანეს ძე ტერ-აბრამოვის და ნინა (ხუნა) ვარლამის ასული ტერ-აბრამოვისადმი—ვაცხადებთ გაუქმებულათ.

სავაჭრო სახლი „ძმები გ. და ნ. ტერ-აბრამოვების და კომპ.“ წევრები: **გრიგოლი ივანეს ძე ტერ-აბრამოვი და ნიკიტა ივაკის ძე პეტროსიანი.** 3—1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქარ თული სავაჭრო აქციონერული განკის გამგეობა ქ. ფოთში

ამით აცხადებს რომ, ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოება, 1920 წლის 18 აპრილიდან, თანახმათ დადგენილებათა, საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა, 1918 წლის 29 დეკემბრიდან და 1920 წლის 14 მარტიდან, ერთის მხრით და ქართული სავაჭრო ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრებისა, 18 ამა აპრილიდან, მეორე მხრით, გადაეცემდა ქართული სავაჭრო ბანკათ ქ. ფოთში, 3½ მილიონ მანეთის ძირითადი თანხით და ამ უკანასკნელმა, დაიწყო რა მოქმედება თანახმად ფინანსთა მინისტრის მიერ 1920 წელს 9 აპრილს დამტკიცებულ წესდებისა, მიიღო ყოფილი საზოგადოების აქტივი და პასივი ყველა უფლება-მოვალეობით. ამის გამო ყველას, ვისაც რაიმე ანგარიშები აქვს ყოფილ საზოგადოებასთან შეუძლია ეს ანგარიშები განაგრძოს ქართულ სავაჭრო ბანკთან ფოთში. 458 3-3

საერთაშორისო საქონლით მოვაჭრე ამიერ-კავკასიის ამხანაგობა

იუწყება, რომ ამა წლის აპრილიდან

ხსნის გათოშში საგანგებო (оптовый) საწყობს და კანტორას

მედიკამენტების პირველი ტრანსპორტ შემ

ძიღებულია საუკეთესო ფაბრიკებიდან.

შეკვეთა დროებით შეიძლება შემდეგი მისამართით: ბათომი, სავაჭრო შესახვევი, 6. 746 ტფილისი, განოვის ქ., № 7. 3—3

სავაჭრო სახლი გოსველერი და ამხ.

ს ა ბ ა ნ ა ო ბ ა

ბ ა ნ კ ი

**ბ ა ნ კ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ

მობილიზაცია

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცავად იმ გარემოებათაგან, რომელნიც ამ უამად შეიქმნა მისს საზღვრებზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ დაინახა ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება.

ამ მიზნით გაწვეულ იქმნებიან ჯარში ყველა სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრენი, დაბადებულნი 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდენ ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვოგზალის ქ.) ამა წლის 30 აპრილს, 10 საათზე, ჯარში წასასვლელად. ამას გარდა, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ იმავე სამმართველოში ნაჩვენებ ვადაზე ყველა ექიმები, დაბადებიდან 35 წლამდე.

სხვა და სხვა დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაუსწორონ აბგარიში გასაწვევ მოსამსახურეთ, რომელთაც (შტატში მყოფთ) ჯარში ყოფნის დროს ადგილი ენახებათ.

ქალაქის გამგეობა.

სათადარიგო ჯარის კაცების საყურადღებოდ

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს, რომ მობილიზაციით გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცებს, რომლებიც ჯარის ნაწილებში (სამხედრო დაწესებულებებში და სამმართველოებში) გამოცხადდებიან სახმარებლად სრულიად ვარგის საკუთარ ტანისამოსში და ფეხსაცმელებში (ჩექმებში ან ბოთინკებში), მიეცემათ ნივთების ღირებულება მათი ვარგისობის მიხედვით შესაფერი ფასები თანახმად უკვე დამტკიცებულ ბრძანებისა.

479. 3—1

არა ოფიციალური განყოფილება

ბოლშევიკები გაქოში

(გ. ს. საინფორმაციო ბიუროს ცნობა)

27 აპრილს, დილის 4 ს. ბაქოდან მოვიდა ცნობა, რომ ბოლშევიკებმა გადმოლახეს აზერბაიჯანის საზღვრები. აზერბაიჯანი მოითხოვდა შველას საქართველოს რესპუბლიკისგან. ამავე დღეს 1-ლ საათზედ მოვიდა მეორე ცნობა, რომ ბოლშევიკები უკვე ხაჩმასთან არიან. ხან-ხოელი იტყობინება, რომ აზერბაჯანის ჯარი წინააღმდეგობას უწევდა ბოლშევიკებს, რომელთა რიცხვი 5000 უდრის. მაგრამ როგორც გამოირკვა საქართველოს მისიასთან ტელეფონით ლაპარაკიდამ აზერბაიჯანის ჯარს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ბოლშევიკებს წინ მოუძღოდათ ჯავშნიანი მატარებლები. როგორცა სჩანს აზერბაიჯანის ჯარს არც გზა გაუფუჭებია, არც ხიდი აუფეთქებია და სხვა. ღამის 10 საათ. წითელი ჯარი იდგა სადგ. სუნგაიასთან. ღამის 2 ს. ბოლშევიკები ბალაჯარაში იყვნენ. ამავე დროს მოვიდა ცნობა ბაქოდან, რომ იქ გამოცხადდა საბჭოთა მთავრობა. ძველი მთავრობა თავისი შემადგენლობით ჯერ ისევ ბაქოში დარჩენილა.

(ს. დეპ. სააგენტოს ცნობა).

ბაქოდან მიღებულ ცნობებით, 27 აპრილს ღამით ბოლშევიკების ჯარის ნაწილები გასცილდნენ მდ. სამურს და წავიდნენ ბალაჯარისკენ. აზერბეიჯანის ჯარების ნაწილები ჯერ-ჯერ იხევდენ. 27 აპრილს ღამით ბოლშევიკების ჯავშნოსანი მატარებელი მოადგა ბაქოს, სადაც საბჭოთა მთავრობა გამოცხადდა. შეიარაღებული შეტაკება არ ყოფილა. აზერბეიჯანის მთავარი ძალები ამ დროს იყო ყარაბახში და განჯის რაიონში.

რესპუბლიკის დაცვის საბჭო

(ოფიციალური ცნობა)

რესპუბლიკის საზღვრებზე შექმნილ პირობების გამო, მთავრობამ დაადგინა შექმნას „რესპუბლიკის დაცვის საბჭო“ მთავრობის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. საბჭოში შევლენ სამხედრო, შინაგან საქმეთა და გარეშე საქმეთა მინისტრები, ყველა შეიარაღებული ძალების მთავარ სარდალი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გედევანიშვილი და საბალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი.

რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ძალების მთავარსარდლათ დაინიშნა გენ. კვინიტაძე.

სამხედრო წესები.

საბჭოს დადგენილებით გამოცხადებულია სამხედრო წესები ქ. ტფილისში და მაზრებში: ტფილისის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, თიონეთის, დუშეთის, გორის, ახალციხის და ახალქალაქის.

მობილიზაცია.

გამოცხადებულია მობილიზაცია 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში დაბადებულთა.

მთავრობის თავმჯდომარის მოწოდება

საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის შტაბებს და აფხაზეთის კომისარიატს.

ჩრდილოეთის საფრთხე საქართველოს ჭიშკარს მოადგა. ბაქოში უბრძოლველად შევიდა ბოლშევიკების ჯარი და იქ საბჭოთა მმართველობა გამოაცხადა. აზერბეიჯანმა კარი გაუღო მათ, რაც მოწმობს მოსკოვის და ერზრუმის წინასწარ შეთანხმებას. საქართველო, საქართველოს დემოკრატია და მისი ამდენი წლის შემოქმედებითი მღშაობა განსაცდელშია.

ჩვენ ქვეყანას მოელის ისეთივე განადგურება და სისხლიდან დაცლა, როგორც განადგურებულია და დაუსრულებელ ომებით სისხლიდან იცლება რუსეთი. ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია, ჩვენ მდგომარეობას ვიხსნით მხოლოდ ჩვენ, ჩვენი ერთსულოვანება და მომხდურთა წინაშე მედგრად დარაზმვა.

მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ქვეყანა ამ უბედურებისაგან, ააცდინოს მშრომელ ხალხს ეს მწარე ფიალა, იხსნას ის დარბევისაგან და მოგიწოდებს თქვენ და თქვენთან ერთად მთელ დემოკრატიას ფეხზედ დააყენოთ მთელი თქვენი ძალა, შემოკრებთ მთავრობის და დამფუძნებელ კრების გარშემო, დაუყოვნებლივ შეასრულოთ მთავრობის ბრძანებები, დაიცვათ შიგნით სასტიკი წესრიგი, შთაბეროთ ერთგულად მხნეობა და ენერგია, სამაგიეროდ მიუძღვნათ ორგულთ და მოღალატეთ და მით გადაარჩინოთ სამშობლო აოხრებისაგან.

მთავრობამ უკვე გამოაცხადა მობილიზაცია, დანიშნა თავდაცვის საბჭო, აირჩია სარდალი, ჩააყენა აღმოსავლეთ საქართველო სამხედრო წესებში, მიიღო ყველა წინასწარი ზომები.

დეე, თვითეული მოქალაქე, თვითეული თანამდებობის პირი იდგეს თავის პოსტზე და პირნათლად შეასრულოს თავის მოვალეობა.

მთავრობის და თავდაცვის საბჭოს

თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამფუძნებელი კრება

27 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

წაკითხულ იქნა მეჯლისის დეპეშა სამუსლიმანო საქართველოს საქრისტიანო საქართველოსთან შეერთების შესახებ, დეპუტატები დეპეშას ტაშით შეხვდნენ.

მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: 1) დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის განკარგულებაში 300000 მან. გადადებისა—„26 მაისის“—დღესასწაულის მოსაწყობათ, 2) ტფილისის სამხედრო სკოლის საჭიროებისათვის 195000 მან. დამატებით გადადებისა, 3) ალექსანდრეს სახელობის ბავშთა თავშესაფარის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა. მეორე მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა სადისციპლინო წესდება.

დამტკიცებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ინსპექციის შტატის დამატება.

ზოგადათ განხილულ იქნა კანონ-პროექტი—უჭკუოსი და ჭკუაზე შეშლილის შემოწმების წესის შეცვლის შესახებ.

დასასრულ კრებამ განიხილა ნაფიც ვექილის ივანე ზედგინიძის განცხადებ, რომ მას დასტური მიეცეს დამფუძნებელი კრების წევრის სერგი ჯაფარიძის წინააღმდეგ სასამართლოში საჩივარი აღძრას შეურაცყოფისათვის. კრებამ დაადგინა, რომ ის თანახმაა ივანე ზედგინიძის და სერგი ჯაფარიძის საქმე გაირჩეს სასამართლოს წესით.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

14 აპრილის სხდომის ოქმი № 7.

დაესწრენ: სომხეთის რესპუბლიკიდან: ს. მ. მამიკონიანი, ტ. ა. ბეკზადიანი, ს. ა. ხაჩატურიანი; ადერბეიჯანის რესპუბლიკიდან: გ. ა. აგაევი, ო. კ. კრიჩინსკი, ფ. ბ. ვექილოვი; საქართველოს რესპუბლიკიდან: ე. პ. გეგეჭკორი, გ. ს. ლორთქიფანიძე.

თავმჯდომარეობს ე. პ. გეგეჭკორი.

სხდომა იხსნება 5½ საათზე.

აგაევი. აკითხავს რა მოხსენებას კომისიების გაგზავნის შესახებ, მოითხოვს ამ კომისიის წევრების დანიშვნის შესახებ თათბირის დასრულებას.

მამიკონიანი. სომხეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა, პირველ რიგში კომისია გაგზავნილ იქნეს ყაზახში. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის მხრივ ადერბეიჯანში გასამგზავრებელ კომისიის წევრებად დასახელებულია: ნაფ. ვექილი პოპოვიანი, მის კანდიდატათ იუზბაშიანი. სომხეთში წასასვლელად პარლამენტის მდივანი ტერ-აკოპიანი და მ. გეორგიანი. საქართველოს რესპ. მთავრობისაგან: პარლამენტის წევრი გომართელი და გიორგაძე. ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობის მხრივ დ-რ ვექილოვი. აღნიშნეს რა გასაგზავნი პირები კონფერენციამ სურვილი გამოსთქვა, რომ კომისიები დანიშნულ ადგილებში ხვალვე გაემგზავრონ.

აგაევი აცხადებს, კომისიის წევრი ვექილოვი ჯერაც არ მოსულა.

შემდეგ კონფერენცია გადადის 12 აპრილის სხდომაზე „სტატუს-ქვოს“ აღდგენის შესახებ მიღებულ დადგენილების გადასინჯვაზე

კრიჩინსკი. წინადადებას იძლევა 12 აპრილის დადგენილებაში „უფლებრივ სტატუსი“ შეტანილი წაიყოს შემდეგ სიტყვებში დროებით დემორკაციულ ხაზის მნიშვნელობით.

ბეზკადიანი. სთვლის რა უსრულად ამ განმარტებას დადგენილების შინაარსის შესაცვლელად თხოულობს, რომ ეს განმარტება ჩამოყალიბდეს და მოხსენების სახით გამოიხატოს.

მამიკონიანი უერთდება ბეკზადიანის აზრს და წინადადებას იძლევა ამ საკითხის შესახებ კამათი მოიხსნას.

ოგანჯანიანი აცხადებს, რა თქმა უნდა ეს ცვლილება ფორმალურად სწორია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ რა საფუძველი შეიქნა მიზეზი უკვე მიღებულ დადგენილებათა ხელ ახალი განხილვისა.

კრიჩინსკი. საქმე შეეხება არა დადგენილების გადასინჯვას, არამედ მის განმარტებას, რადგანაც იგი იძლევა სხვა და სხვა შეხედულობის საბაბს, და ამ თვალსაზრისით მას არ შეუძლია თავისი ფორმალური მხარით ჩვენი მთავრობის დაკმაყოფილება.

ყოველ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ყარაბახის საკითხი, რომელიც საკმაოდ ნათელია, არა მარტო ჩვენი მთავრობისათვის, არამედ ყარაბახის თვით სომეხ მცხოვრებთათვის და ავრეთვე მოკავშირეთა წარმომადგენელთათვის, ეხლა არ იყოს დაბნელებული კონფერენციის რაიმე ბუნდოვანი დადგენილებით.

მამიკონიანი: 22 აგვისტოს აქტი წარმოადგენს წმინდა სახელმწიფოებრივი ტიპის სახის შეთანხმებას. ეხლა წარმოდგენილი რეზოლიუცია სრულებით სცვლის ზემო აღნიშნულ აქტის მთელ აზრს.

კრიჩინსკი: პირველად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხეთის დელეგაციის მიერ აქ წამოყენებული ხელშეკრულება წარმოდგენილია პირველ ყოფილ სახით, რადგანაც ერთის მხრივ ჩვენ გვაქვს 26 მუხლში გამოხატული სურვილი ყარაბახის სომხურ ეროვნულ საბჭოსი, რომელიც ჩვენი მთავრობის სახელით არავისგან ხელმოწერილი არ არის, მეორეს მხრივ ყარაბახის გენ. გუბერ. დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია სომეხ მცხოვრებთა ადერბეიჯანის მთავრობისადმი დამორჩილების პირობები, და რომელშიც პირობები ტექსტუალურათ არ არის გამოხატული. ამ აღიარებას ჰქონდა მნიშვნელობა ჩვენი მთავრობისათვის მხოლოდ ზნეობრივი ვალდებულებისა, რომელიც ნამდვილი იყო მცხოვრებთა მიერ თავის ლოიალობის დარღვევამდის. საერთაშორისო დამოკიდებულების ისტორიამ ჩემი აზრის დამამტკიცებელი უფრო მეტი შემთხვევები იცის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს შემთხვევა უფრო მარტივია, რადგანაც ჩვენ ხელთ არ არის საერთაშორისო დამოკიდებულების სუბიექტი, რომელსაც რაიმე ხელშეკრულების შესრულების მოთხოვის უფლება ჰქონდეს.

ბეკზადიანი: ფიქრობს, სამხედრო მოქმედების გამო პირობა დაირღვა და შეთანხმება თავის ძალას კარგავს. სომხეთის დელეგაციის აზრით, რომელიც ამ ხელშეკრულებას უფლებრივ თვალსაზრისით უყურებს,—ასეთი შესწორება მიუღებელია.

აგაევი: მეორე რეზოლიუცია ჩვენთვის მიუღებელია.

ოგანჯანიანი: მე ვფიქრობ, რომ ამ გვარ დამატების მიღება მთელი ამ დადგენილების აზრის შეცვლას ნიშნავს.

კრიჩინსკი: კიდეც რომ წარმოვიდგინოთ, რომ განსაზღვრულ დრომდე ყარაბახში სახელმწიფოებრივი უფლება სომხის ეროვნულ საბჭოს ეკუთვნოდა, ამ უკანასკნელის მიერ, თუნდაც დროებით ადერბეიჯანის მთავრობის უფლების ცნობის დროიდან, საბჭოს ეს უფლება გაჰქრა და გაითქვიფა ადერბეიჯანის რესპუბლიკის სუვერენიტეტში და ეხლა ყარაბახში მარტო ეს სუვერენიტეტი არსებობს, რადგან ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი სუვერენიტეტი არ შეიძლება არსებობდეს საგნის იურიდიული თვისების გამო.

ადერბეიჯანის დელეგაცია ყოველთვის ამ თვალსაზრისისაა და არ შეუძლია, რომ ამაზე უარი განაცხადოს.

ხაჩატური ნი: კონფერენცია, რომ არ ყოფილიყო შესაძლებელია, სომხეთის მთავრობა დაეთანხმებოდა ამ დებულებას, მაგრამ რადგანაც კონფერენცია არსებობს მან უნდა განიხილოს ყარაბახში ადერბეიჯანის სუვერენობა. თუ ადერბეიჯანის მთავრობამ მიუხედავათ აქტის მე-7 მუხლისა, ხელშეკრულობის პირობა დაარღვია, მაშინ ხელეკრულობა უკვე თავის უფლებას ჰკარგავს, ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობდა ხელშეკრულებითი დამოკიდებულება, განსაზღვრულ ოლქებსა და მთავრობის შორის.

(დასასრული იქნება).

უცხოეთი

გორკი ლენინის შესახებ.

ლენინის პატივსაცემლად გამართულ საიუბილეო ზეიმში სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ლუნაჩარსკიმ და გორკიმ. უკანასკნელმა მოიგონა ლენინთან შეხვედრა

ლონდონში და კუნძულ კაპრიზე და დაახასიათა იუბილიარი, როგორც კეთილი ადამიანი, კარგი ამხანაგი და გენიალური მშრომელი, რომელმაც დიდი საქმე შექმნა მსოფლიოს პროლეტარიატისთვის. გორკიმ მოუწოდა ყველა ამხანაგებს, რათა აღმოუჩინონ ამხ. ლენინს დახმარება მის დიად საქმეში, მსოფლიოს პროლეტარულ მუშაობაში.

საპყრობილეების ლიკვიდაცია.

უკრაინის ნარკომმა გასცა ბრძანება, რათა სასამართლოებმა არავინ დასაჯონ საპყრობილეში დაპატიმრებით. საპყრობილეები უკრაინაში ისპობა, სასჯელი არის მხოლოთ იძულებითი მუშაობა.

ინგლისისა და ოსმალეთის შუა ომის შესაძლებლობა.

უცხოეთის გაზეთებს შესაძლებლათ მიაჩნიათ, რომ ინგლისი გამოუცხადებს ომს ოსმალეთს, თუ ოსმალეთის მთავრობა თითონ ვერ შეაჩერებს უცხოელთა წინააღმდეგ მოქმედებას.

სპარსეთი და საბჭოთა რუსეთი.

სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომელიც იმყოფება ლონდონში, განაცხადა, ადგილობრივ გაზეთებში, რომ სპარსეთის მთავრობა მზათაა მოლაპარაკება დაიწყოს საბჭოთა რუსეთთან.

გენ. იუდენიჩის არმია.

რიგიდან იტყობინებიან, რომ მოქ. პალენის, გენ. იუდენიჩის მხრივ და ესტონიის წარმომადგენელთა შორის დადებულია კონვენცია გენ. გლაზენაპის და ესტონიის გარეშე საქმ. მინისტრის ბირკის შუა 23 თებერვალს დადებულ ხელშეკრულების მაგიერ. ახალი კონვენცია ათავისუფლებს ორივე მხარეს ყოველგვარ ვალდებულებებისგან.

იაპონია და საბჭოთა რუსეთი.

ჩიჩერინმა რადიოთი მიმართა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს და თვით იაპონიას; ის პროტესტს უცხადებს იაპონიას ჩრდილო სახალინში მისი მოქმედების გამო.

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი.

კოპენგაგენში მივიდა რუსეთის კოოპერატიული დელეგაცია. დელეგაციას შეადგენდა კრასინი, ნოინი, შივიტსკი და როსოვსკი. თემთა პალატაში გარეშე საქმ. მინისტრის სახელით გრენვუდმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ ეწინააღმდეგება ინგლის-რუსეთის საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლას, მისი ეხლანდელი შემადგენლობა.

ერობა

ტფილისის სამაზრო ერობაში.

ტფილისის მაზრის ერობამ მოიწვია მთავარ ინჟენრად ცნობილი ინჟინერ-ჰიდრავლიკი გრ. ქურდიანი.

მარტყოფის ტბის გაყვანა.

მაზრის ერობამ დაავალა ტეხნიკურ განყოფილებას რათა მან სათანადო ყურადღება მიაქციოს მარტყოფის გზის გაყვანის საკითხს.

გერმანელ ახალშენების შუამდგომლობა.

სართიჭალის რაიონის გერმანელ ახალშენების შუამდგომლობა, რომ მათი ახალშენები (პეტერდორფი, ფრეიტენცალი და მარიენფელდი) შეერთებულ იქმნას ერთ სოფლად ტფილისის სამაზრო ერობამ დააკმაყოფილა და ამიერიდან ეს სამი ახალშენი იწოდება მარტო „მარიენფელდის“ სახელით.

ბალბიანის სანერგეთათვის.

აგრონომიულ განყოფილების განკარგულებაში, ბალბიანის სანერგეთათვის გაღებულია სამოცდა თორმეტი ათასი მანეთი.

იშხანოვის მოხსენება.

სამაზრო ერობის გამგეობამ მიიღო იშხანოვის მოხსენება საერობო მიწის ფონდის შედგენის საკითხის შესახებ. გამგეობა იღებს სიას აღნუსხვით იმ მიწებისას, რომელიც უნდა შეადგენდნენ საერობო მიწის ფონდს მომავალში.

წამლეულობის შეძენა.

ერობამ გადასდო წამლეულობის შესაძენად 75000 მანეთი.

ერობის სტიპენდიანტები.

ამა წლის 1 აპრილიდან ერობის სტიპენდიანტებად სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებიან შემდეგი სტუდენტები: სიბრძნესიტყვიერების ფაკულტეტზე მათიკაშვილი; მათემათიკურ ფაკულტეტის სამეურნეო ნაწილზე ი. ჩხენკელი; სამედიცინო ფაკულტეტზე ქებაძე პოლინა, ბირინაშვილის ასული და ი. ჯავახიშვილი. სტიპენდიანტები ვალდებულნი არიან უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იმსახურონ ერობის განკარგულებით იმ დრომდის, რა დრომდისაც ისინი სტიპენდიით სარგებლობდენ. სტიპენდიანტებს ეძლევათ ერობის მოსამსახურეთათვის მიღებულ ვადაზე ე. ი. ყოველ თვის ბოლოს სტიპენდია 2400 მანეთი. ამას გარდა სტიპენდიანტები ღებულობენ სურსათ-სანოვაგეს-აც ერობის მოსამსახურეებთან ერთად.

სატარიფო პალატაში.

23 აპრილს, შესდგა სატარიფო პალატის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც დადგენილ იქნა:

— მიენდო პალატის წევრებს ბრაილოვსკის, რაბინოვსკის და ერზიკიანს გამოიკვლიონ კოლოფების სახელოსნოში მუშათა მდგომარეობა.

— პრინციპიალურად შესაძლებლად იქნას ცნობილი ჯამაგირების გადიდება ქალაქის კავშირის მიწის მზომელებსა. კითხვის საბოლოო გადაწყვეტა გადაეცეს პრეზიდიუმს.

— საკანდიტროებში მომუშავე ხელოსანს დაენიშნოს ჯამაგირი 2500 მან., მის თანაშემწეს 2000 მან., მეორე თანაშემწეს 1400 მან., მოწაფეს 750 მან. ამა წლის პირველ აპრილიდან.

— ვინაიდან ქიმიური ქარხანა „არომს“ უფლება მიეცა ნაწარმოების საზღვარ გარეთ გატანისა, დაკმაყოფილებულ იქნას ხსენებულ ქარხნის მუშათა შუამდგომლობა და გაუდიდდეთ მათ ჯამაგირი 15 აპრილიდან.

— სადგურ „რიონში“ მომუშავეთა სამუშაო ქირა გათანასწორებულ იქნას 1 აპრილიდან ქუთაისის რესტორანებში, კლუბებში და სასტუმროებში მომუშავეებთან.

— გუდაუთის ერობის გამგეობის მოსამსახურეთა არსებული ტარიფი დამტკიცებულ იქნას 1 იანვრიდანვე ფინანსიური კრიზისისა და ახალი მომატების შეუძლებლობის გამო დამტკიცებულ იქნას 1 იანვრიდან.

— ტრამვაის მუშათა შუამდგომლობის გამო კვირა დღეს 6—8 საათამდე სამუშაოს მომატების ხელ მეორედ გადასინჯვის შესახებ უარყოფილ იქმნას, ვინაიდან უკანასკნელი ტარიფის მომატებისას სატარიფო პალატა ხელმძღვანელობდა მუშათა თვიური ბიუჯეტით და ახალი მომატება ამ ბიუჯეტს არ შეამცირებს.

სასკოლო საკითხები

ფოთის მასწავლებელთა ფილიალი.

ამ წლის მარტში შესდგა ფოთის დაბალ და საშუალო სკოლათა მასწავლებლების საერთო კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა ფილიალის გამგეობა. შევიდნენ: ქ-ნნ. პარკაია, თურქია და გაბუნია, ბ. ბ. დობორჯგინიძე და ლ. ცინცაძე. ჩვეულებრივ საკითხთა შორის გაირჩა საკითხი სანიმუშო გაკვეთილებისა. კრებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც დაავალა იდეურად და ტეხნიკურად მოგვარება საქმისა. გამოთქმული იყო სურვილი ფოთის ყოველ მასწავლებელს რიგ-რიგობით მიეცა გაკვეთილები, რომელზედაც დაესწრებოდნენ ჯგუფობრივ დანარჩენი მასწავლებლები. შემდეგ გაიმართებოდა თათბირი გაკვეთილის ღირსება-ნაკლულოვანების აღსანუსხავა და სხვ...

ეს ფრიად საყურადღებო და თვალსაჩინო საკითხია და მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო.

ხშირად ამოიკითხავთ გაზეთში და ისეც გაიგონებთ მასწავლებელთა მოუმზადებლობის შესახებ. საქმე იქამდისაც კი მივიდა გულახდილად აღვიაროთ, რომ „სულ არაობას ცალი ხარი სჯობიანო“. მართლაც გამოცდილ და მცოდნე პედაგოგთა რიცხვი მცირეა და ვინცაა, ისიც პერიფერიებს გაურბის, ვით ურია ღორის ხორცს, და კარიერისაკენ მიისწრაფის.

იდეალია ტფილისი.

პროვინცია ჯოჯოხეთათაა მიჩნეული და არის ღვთის ანაბირად მიგდებული. თითოოროლა მცოდნე პირი საქმეს ვერ აუდის რა თქმა უნდა.

მთავრობა ჰღებულობს ზომებს, მაგრამ ეს ცვარია ზღვაში.

რომ მასწავლებელნი მოუმზადებელნი არიან ამაში მათ ბრალი არ მიუძღვით. ჩვენ ყველანი ძველი გზით მგზავრები ვართ და რა საკვირველია თუ ამ დიად ვადატრიალების დროს, როცა იწყება სულ ახალი ხანა კაცობრიობის და კერძოდ ერის ცხოვრებაში, როცა ყოველი დარგი, ყოველი საქმე ძირიანფესვიანად გარდაქმნას მოითხოვს, ერთბაშად მომზადებული არ (ვიყვნეთ) აღმოვჩნდით. არც ადვილი დასაძლეველია სწრაფად გაეროვნება სკოლისა და მას მიერ გამოწვეული დაბრკოლებანი.

ბოლო არც დაუძლეველია. საჭიროა მხოლოდ შეგნება—მოვალეობისა, გაორკეცებული ენერგია, საქმის მოყვარეობა და შრომა. თუ ეს გვექნება ყველაფერს დავძლევთ. ალბად ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ფილიალის გამგეობას და კავშირს, რომ სანიმუშო გაკვეთილებს გულმხურვალედ მოეკიდა.

რა თქმა უნდა სანიმუშო გაკვეთილები მასწავლებელს გამოცდილებას და მომზადებას შესძენს. ეს ერთგვარი სკოლაა, სადაც შეითვისებს თანწყობას, მეთოდს, ცოდნას.

ჩვენი სკოლის საქმეში აუცილებლად საჭიროა ერთობა: ერთობა განათლების მიზნებში, რომელსაც იძლევიან ერთგვარი ან სხვა და სხვა გვარი სკოლები; ერთობა მეთოდებში, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, სწავლების ზოგიერთ ძირითად ხერხებში, რამდენათაც ეს ერთობა აწინდელის პედაგოგიური მეცნიერების მიერ დაკანონებულია; ერთობა მთელი განათლების ხელში, მის შეთანხმებაში დემოკრატიის, პოლიტიკურის და სოციალურის წყობილების ძირითად პრინციპებთან და სხვა.

უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი პირდაპირი გაგრძელება უნდა იყოს დაბალ საფეხურის სკოლებისა ყოველ მხრით: მეთოდით, პროგრამით და სხვა... ხოლო პირველისა კი—გიმნაზიური კლასები.

ყველა ამას, დაჭეშმარიტებით შეგვიძლია ვსთქვათ, ძალიან შეუწყობს ხელს სანიმუშო გაკვეთილები, როგორც ამას აწარმოებს არჩეული კომისია, და უსურვოთ მას წარმატება.

გრ. ბ—ძე.

შრომის ბირჟა.

20 აპრილიდან განაახლა მუშაობა შრომის ბირჟის საამწიგვნელო სახელოსნომ, რომლის დროებითი დახურვა გამოიწვია ბაზარზე უმუშევარ ამწიგვნელების არ ყოლამ. რადგან კერძო საამწიგნვნელო სახელოსნოები დაწყებული ოქტომბრიდან მარტამდე სავსე იყო ყოველ გვარი დაწესებულების სამუშაოებით, მათ ჰყავდათ დაკავებული ყველა თავისუფალი მუშები ბაზარზე. ამიტომ იძულებული შეიქმნა შრომის ბირჟა სახელოსნო დროებით დაეხურა.

შრომის ბირჟა მოუწოდებს ყველა დაწესებულებებს და კერძო პირებს გადასცენ მას ყოველივე საამწიგვნელო სამუშაოები, რომელიც იღებს ყველა კერძო დაწესებულებებზე გაცილებით უფრო იაფად.

მოკლე ხანში შრომის ბირჟა შეუდგება ქალალდის პარკების, კონვერტების, ბლოკნოტების და კოლოფების დამზადებას, აგრედვე წვრილმან ტიპოგრაფიულ სამუშაოების მიღებას. შრომის ბირჟის წარმოდგენით მას საშუალება მიეცემა მისცეს ადგილი 100 მუშ. მეტს უმეტესი ნაწილი ქალაქებს, რომლებიც იმყოფებიან ამ ჟამად უკიდურეს მდგომარეობაში.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს 1920 წლის აპრილის 30 სხდომაზე დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

(სხდომის გახსნა დილის ათ საათზე)

1. საქმე ალექსანდრე სიმონის ძე მაისურაძის სომხეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან 110 ათასი მან. თაობაზე.

2. საქმე ავტაბ ხანუმ დელიბოზოვისას კერძო საჩივარი.

3. საქმე აღათი საბას ასულ კოპალეიშვილისა და პავლე ანტონის ძე კვერნაძის ანეტა ბესარიონის ასულ გელეიშვილთან სამტრედიის სასამართლოს ბოქაულის მოქმედების თაობაზე.

4. საქმე თამარ ნიკოლოზის ასულ პლემიანკოვისა ნოე ხომერიკთან და მელიტონ რუსიასთან ბინის ქირის თაობაზე.

—

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წლის 5 მაისისათვის დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები.

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საჩივარი ნაფიც ვექილის ევანგულოვისა შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებულის მახარაძის მოქმედებაზე—მომჩივანის ბინაში არაბიძის ჩასახლების შესახებ.

2) საჩივარი სილნაღის ქალაქის გამგეობის რწმუნებულის ნაფ. ვექილის დაფქვიაშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინ. განყოფილების 1919 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალ. სილნაღის გამგეობის დადგენილება საზოგადოება „მატორის“ საელექტრონო სადგურის რეკვიზიციის შესახებ.

3) საჩივარი ამხანაგობა „ორიოლი“-ს რწმუნებულის ნაფიც ვექილის გამრეკელისა ფინანსთა მინისტრის 1920 წლის 17 იანვრის დადგენილებაზე, ზედმეტი ბაჟის დადების შესახებ—ტფილისის საბაჟოდან შეძენილ არაყზე.

—

1920 წლის აპრილის 29 დღეს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქ. № 23 მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ჩაჭურია დი ნესტორ მაღარაძეებისა სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე.

საქ. № 18 მაგ. 1. საკასაციო პროტესტი ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგის დ. ლ. ზელენინისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე, ბრალდებულ მნაცაკან მამოევის საქმეზე, რომელსაც ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1654 მუხ. სასჯ. დებ.

საქ. № 31, მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ერასტი ნიკოლოზის ძის ცნობილაძისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ცნობილაძეს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 3—5. 1180 მუხ. სასჯ. დებ.

საქ. № 55. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ ილია ჯიქაისა და ივანე ქებურიასი, სოხუმის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ჯიქაიას და ქებურიას ბრალდებათ დანაშაული, გათვალისწინებული 1630 და 1632 მ. მ. სასჯ. დებ.

—

სმქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წლის 12 მაისისათვის დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საჩივარი ქალაქ ფოთის გამგეობისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, ქალ. ფოთის გამგეობის 1918 წლის 4/5 სექტემბრის დადგენილებით პროვიზორი მდივანის აფთიაქის დაკეტვის შესახებ ქ. ფოთში.

2) საჩივარი მარკ. ისაის ძე დოლუხანოვისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ კომისიის დადგენილებაზე შესახებ მისი მამულისა სოფ. ვეძინში.

რკინის გზაზე

ჩაქვისა და ქობულეთის შუა ხიდის დაზიანების გამო, სასწრაფო მატარებ. №№ 1 და 2, რომლებიც დადიოდენ ბათუმსა და ტფილისს შუა, 24 აპრილიდან განსაკუთრებულ განკარგულებამდე ივლიან ტფილისსა და ფოთს შუა; მატ. № 1 ტფილისიდან სამტრედიამდე მიდის ძველი წესით, სამტრედიიდან გავა 8 საათ., ამაშიდან 8,20—8,26, ახალ-სენაკიდან 8.50—8.59 შეხვ. 21 გაივლის ქვალონს 9.19 შეხვ. 4, გაივლის ჭალადიდს 9.44, ფოთს 10,08. უკან დაბრუნდება 25 აპრილს მატ. № 2 ფოთიდან 19.46, ჭალადიდს გაივლის 20.10, ქვალონს 20.35, ახალ-სენაკიდან 20.55 21.01 შეხვედ. № 3 აბაშის 21,25—21.27 სამტრედიაში მიდის 21.47 და შემდეგ ტფილისამდე ძველი წესით. ამის მიხედვით იცვლება მატ. № 21 მიმოსვლა ახალ-სენაკისა და სამტრედიის შუა იცვლება: ახალსენაკიდან გამოდის 8,53, აბაშიდან 9—20, სამტრედიაში მიდის 10,02 და შემდეგ ტფილისამდე ძველი წესით.

სასამართლოში

მუშა-მოსამსახურეთა მილება - დათხოვნას დებულების დარღვევისათვის.

1920 წლის 17 აპრილს ტფილისის მე-7 სამოსამართლო უბნის სასამართლოში გაირჩა ჰაჯი ალაქპერა მირზოევის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა მუშა-მოსამსახურეთა მილება-დათხოვნის დებულების დარღვევაში. ბრალდება წამოუყენა ტფილისის შრომის კომისარმა.

ამ დებულების დარღვევა მირზოევის მხრივ გამოიხატა იმაში, რომ მას ტფილისის ვაჭრობა-მრეწველობაში მოსამსახურეთა პროფ-

კავშირში არ განუცხადებია ისე მისა მოსამსახურე მამედ-ოღლი რუსაველის შორის მომხდარ კონფლიქტზე და ისე დაითხოვა სამსახურიდან. ხსენებულ ბრალდებულს პროფ. კავშირის მიერ დაკითხვის დროს არავითარი საბუთები არ წარუდგენია თავის გასამართლებლად და რუსალოვის უკანვე მიღებაზე უარი განაცხადა. მირზოევის თხოვნა მოწმეების დაკითხვის შესახებ არ იქნა შეწყნარებული, ვინაიდან მან თხოვნა წარუდგინა შრომის კომისარს მას შემდეგ, როცა საკითხი უკვე პროფ. კავშირში აღძრული იყო, სადაც ბრალდებულმა წარადგინა თავის მხრივ განმარტება, მაგრამ თავისი გასამართლებელი კი არაფერი წაუყენებია. მირზოევის თხოვნაში აღნიშნული მდგომარეობანი. კიდეც რომ დამტკიცებულიყო, ეს მას მაინც ვერ იხსნიდა პასუხის გებისაგან, ვინაიდან მან დაარღვია დებულებები მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის შესახებ.

ხელმძღვანელობდა რა ყველა ზემოთ ხსენებულით და წესდების 119 მუხლით სასამართლოს მსაჯულმა დაადგინა: ცნობილ იქნას გაჯი-ალაქპერა მირზოევი დამნაშავეთ მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის დებულებათა დარღვევაში და კანონის 29 მუხლის ძალით ბრალდებული დაჯარიმებულ იქნას 300 მანეთით და თუ ბრალდებული ამის გადახდას ვერ შესძლეს დატუსაღებულ იქნას 3 თვით.

მილიციაში

— სისხლის სამ. მილიციამ შეიპყრო თ. ვაჩეიშვილი, კ. ვაჩეიშვილი და ჯ. თოდარია, რომლებიც სისტემატიურად პარავდენ სასტუმრო „ნოე"-ს მცხოვრებთ ფულსა და ნივთებს. სულ წაუღიათ ნახევარ მილიონამდე. გაჩხრეკის დროს მათ ბინებზე აღმოჩნდა ზოგი ნივთები, რომელიც სასტუმროს ეკუთნოდა.

— ქუთაისის პირველ ბათალიონის კომანდირის განკარგულებით, სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო ჯარის კაცი გრიგოლ ხუბაროვი, რომელსაც ბრალი ედება სახაზინო ნივთების მითვისებაში.

— 26 აპრილს სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო ვ. ბაკურაძე, რომელსაც ბრალდებოდა ყალბი მოწმობის შედგენა, რათა მომარაგების კომიტეტიდან მიეღო საქონელი და საქართველოდან გაეტანა.

— ამავე რიცხვში სისხ. სამ. მილიციამ შეიპყრო ნ. ოტრადინსკი, ს. აბრამოვი, გ. სარჭისოვი, კ. სკლიაროვი, რომლებიც სამხედრო ბეგრის მოსახდელათ არ გამოცხადდენ. ისინი გადაეცენ სამხედრო უფროსს.

— სისხლ. სამ. მილიც. შეიპყრო და 3 თვით დააპატიმრა: ი. კუზმინი, გ. აპტუნიანცი, არჩვაძე, გოროხოვი, გოროხოვისა, როგორც შავნე ელემენტები.

— სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო ნიკოლოზ მუსხელიშვილი, რომელსაც ბრალდებოდა გორში მცხოვრების მარიამ ჯულაბოვას ნივთების მოპარვა მიწის ძვრის დროს. ნივთები სულ იყო 6.009,000 მან. მუსხელიშვილის ბინაზე აღმოჩნდა ზოგი ნივთი, რომელიც ჯულაბოვას ეკუთნოდა. მუსხელიშვილი დაპატიმრებულია.

— გუშინ ბათუმიდან ტფილისში დაბრუნდა სისხლ. სამ. მილიციის უფროსი ბ. ფაჩულია. მისი უფროსი თანაშემწე ბ. ჩხეიძე შეუდგა თავის პირდაპირი მოვალეობის ასრულებას.

— სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო და დააპატიმრა ტფილისის სამაზრო ერობის ყოფილი დარაჯი, რომელსაც ბრალდება სამაზრო ერობიდან სისტემატიურათ სურსათის მოპარვა ღირებულის 12.000 მან. დავითაშვილი ჭურდობაში გამოტყდა, მაგრამ ვის მიყიდა ის კი ვერ დაასახელა.

— სისხლის სამარ. მილიციამ დააპატიმრა კირილე ალექსის ძე ჯანველაძე, რომელსაც ბრალდებოდა იტალიის საკომისიო მაღაზიის გაძარცვაში მონაწილეობის მიღება.

— სისხლის სამარ. მილიციამ დააპატიმრა კონსტანტინე ივანეს ძე ხომერიკი, რომელსაც ბრალი ედება ყალბ საბუთებით სხვა და სხვა პირთაგან ფულის მიღება.

— მილიციამ დააპატიმრა ვასილ სიმონის ძე მაკეევი, ძმები ნიკოლოზ, ეგნატე და თეოდორე დრუზდევები, რომლებსაც ბრალდებოდათ ოვსიანიკოვის ბინიდან $1^1/_2$ მილ. მან. ნივთების მოპარვა. დრუზდევის ბინაზე აღმოჩნდა დაკარგულ ნივთების ნაწილი.

პროვინციაში

რედუტ-კალე.

6 აპრილს მდ. ქურიასთან, შავის ზღვის პირად, ზუგდიდის მაზრაში ყაჩაღებმა გაძარცვეს მგზავრები, მიმავალი ქ. რედუტ-კალიდან დ. ანაკლიაში და აგრეთვე, ქ. რედუტ-კალეში მცხოვრები მუშები: ლადი ჯიქია, ზურაბი სახეიშვილი და ბეგო გერგაია. ლადი ჯიქიას წაართვეს 7 ათასი მანეთი და ნაბადი, ზურაბი სახეიშვილს 800 მანეთი. როგორც გამოირკვა გაძარცულების ჩვენებიდან, ბოროტ-მომქმედნი ყოფილან ხუთი კაცი, გამოსულან ხეთის დაჩის სახაზინო ტყიდან და ჩასაფრულან ზღვის პირად, სადაც ყველა მგზავრებს ძარცვავდენ. უკანასკნელად ყაჩაღებს შეუმჩნევიათ ცხენოსანი კაცი მომავალი დ. ანაკლიიდან, იოსე შელია, რომელსაც თან ჰქონდა 8 ათასი მანეთამდე ფული. როგორც გამოირკვა შელიას წინასწარ შეუმჩნევია ყაჩაღები, გადამხტარა ცხენიდან და გაქცეულა დ. ანაკლიისაკენ. ყაჩაღები შეშინებულან მილიციამ არ მოგვისწროსო და საჩქაროთ გაუძარცვავთ 12 კაცი, რომლებიც დატყვევებული ყოლიათ, რის შემდეგ ისინი წაუყვანიათ ტყეში, სამი ვერსის მანძილზე. ყაჩაღები უწოდებდენ თავის თავს ზუგდიდის საპატიმროდან გაქცეულ ტყვეებს და მუქარით მოითხოვდენ თავის მსხვერპლებიდან ტანისამოსს და ფულს. ცნობის მოსვლისათანავე რედუტკალის ადმინისტრაცია და ადგილობრივი გვარდია დაედევნა ყაჩაღებს ორი გზით. საღამოს 9 საათზე 6 აპრილს რედუტკალეს გვარდიას მოუხდა შეტაკება ყაჩაღებთან. 9 საათიდან დილის 5 საათამდე სროლა იყო, რის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყაჩაღებს დაუტოვებიათ ორი ნაბადი და გაქცეულან ს. ხორგაში. გამოძიება გრძელდება, მიღებულია სასტიკი ზომები.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა ტფ. მიხეილის სახელობის რკ. გზის ტეხნიკური სასწავლებლის დამთავრების მოწმობა ლეონიდ პავლეს ძე კორენეცკის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 760 3—1

დაიკარგა მოწმობა ნიკოლოზ მგალობლიშვილის სახელზე, მიღებული გორის მაზრის სამხედრო უფროსისგან. 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 460 3—1

ლევან აპოლონის ძე ახვლედიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვს თვიანი მოწმობა, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან და იარაღის ტარების მოწმობა, მიღებული სახალხო გვარდიის შტაბიდან და შინაგ. საქ. სამინისტროდან. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 764 3—1

გიორგი სიმონის ძე გამდლიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული დერბენტის ქალ. მილიციის სამმართველოდან 1918 წ., და მეტრიკული მოწმობა. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 454 3—1

მე-2 რაიონის ტყის რევიზორი ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ მიმდინარე 1920 წლის 20 აპრილს, დღის 12 საათზედ, აღბულაღის თემის კანცელარიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 200 ცალი მუხის ხეებზე ხრამის აგარაკის კლდეისის ნაკვეთიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მარტყოფ-ივრის და აღბულაღის ტყის სამოურავოებში, ს. ს. სართიჭალას და აღბულაღში ყოველ დღე. 333 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ანნა ვასილის ასულმა ლეკიშვილისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი, დიმიტრი გიორგის ძე ლეკიშვილი, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1909 წელს, უკვალოდ დაიკარგა, 1910 წელს, რის გამო ცოლი მისი ანნა ვასილის ასული ლეკიშვილისა ითხოვს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგული დიმიტრი გიორგის ძის ლეკიშვილის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, ორი თვის განმავლობაში. 768 3—1

დაკარგულია ზედნადები (накладная) 3522 ფ. ნავთზე № 2034 ზაზუნოვის სახელზე, გაუქმებულათ ითვლება. 766 3—2

ვარლამ ფარნაოზის ძე ხვედელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული კულაშის თემის გამგეობიდან 1920 წ. ოქტომბერვლის 14-ს, № 249 და სამხედრო ბეგრისგან განთავისუფლების მოწმობა. საბუთები გაუქმებულია. 444 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა მართა ნიკოლოზის ასულმა ნიკოლოზიშვილისამ თხოვნა თავის ქმრის მიხეილ ესტატეს ძე ნიკოლაშვილზე, რომელზედაც დაიწერა ჯვარი 1912 წელს, 12 ნოემბერს და ითხოვს განქორწინებას მხეილ ესტატეს ძე ნიკოლაშვილისაგან მის უკვალოდ დაკარგვის გამო, რომელიც დაიკარგა 1915 წელს, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით ყველა ვალდებულია აცნობოს სამიტროპოლიტო სასამართლოს მისი მისამართი, ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 507 2—1

დაიკარგა ნიკოლოზ კოვალსკის, სასვაკლო შესახვევში № 5 მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 773 3—1

დაიკარგა პასპორტი სერგო ივანეს ძე ბაბარაშვილის სახელზე, მიღებული ორთევის თემიდან (გორის მაზრა) და კონდუქტორობი, მოწმობა სურათით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 774 3—1

დაიკარგა ტიმოფეი კოლენიჩენკოს, მინკევიჩის ქუჩაზე № 10, მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულიდ ჩაითვალოს. 775 3—1

მინდობილობა, მიცემული მარიამ იოსების ასულის გარსევანიშვილის მიერ ნიკოლოზ (ოქ. რო) ალექსანდრეს ძე და კონსტანტინე გიორგის ძე გარსევანიშვილებისადმი და დამტკიცებული ცხინვალის უნოტარო ნოტარიუსის მიერ 14 აპრილს 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 772 3—2

ქ. ტფილისის პირველი სამომრიგებლო უბნის ბოქაული ბარუტჩევი აცხადებს, რომ 1920 წლ. 4 მაისს დილის 10 საათ. ერევნის მოედანზე საჯაროთ გაიყიდება ვერა მარჯანიშვილის მოძრავი ქონება, რომელიც შეიცავს ბრილიანტის ბროშკას, შეფასებულს 1000 მან. ქონება იყიდება ლიდია ნაროუშვილის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. 771 1—1

სისხლის სამართ. წარმ. წესდ. 846, 847 და 848 მუხლ. თანახმად აღბულაღის უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ პრაპორშჩიკ მიხეილ ანდრიანის ძე პარფინენკოს, 25 წლისა. ყველა, ვინც იცის სად სცხოვროს პარფინენკო, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს; დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცეს იგი სამომრიგებლო სასამართლოში. აღბულაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლე ბარათაშვილი. 0334 1—1

ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, აცხადებს, რომ დაიკარგა იმავ ტაძრის ეზოს 1919 წლის საბინაო დავთარი. 769 3—2

კიწია-სალხინოს უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გადაცვალებულის მცხოვრების ს. თამაკონში, სენაკის მაზრისა ალექსანდრე ანტონის ძე ჯანაშიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებული ჯანაშიას ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია 1241 მუხლ. საქოქ. კან. კრ. მეათე ტომი, ნაწილი პირველი. 396 1—1

ტფილისის 21 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნატალია პაპოვის ასულის მიქაელიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მიქაელიანცის ქონებაზე, სამ. კან. კრებ. მე-X ტ. 1 ნაწ. 1241 მ. აღნიშნულ ვადაში. 642 1—1

ქუთაისის სამაზრო უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად 1241 მუხ. მე-X ტომისა სამ. სამართლის წარმ. წესდ., იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებული, მცხოვრების სოფელ გეგუთში, ერისტო ივანეს ძე იაშვილისას, რათა მათ განაცხადონ თავის მემკვიდრეობის უფლება ზემოხსენებულ იაშვილის ქონებაზედ ექვსი თვის განმავლობაში, დღიდან გამოქვეყნებისა. 0366 1—1

ტფილისის ნოტარიუსი მიტკევიჩი აცხადებს, რომ 1920 წ. მარტის 17-ს შეადგინა აქტი რეესტრით № 1158, რომლითაც მიხეილ იასეს ძე სიხარულიძემ მიჰყიდა ფეოდორე ანდრიას ძე მაგულარიას უფლება თავის ნახევარ წილის ღვინო გასტრონომიულ მაღაზიისა ტფილისში პუშკინის ქ. № 1. 521 1—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 5919 ნიკიფორე ოქროპირის ძე მანაგაძის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 751 3—2

დაიკარგა ატესტატი რვა კლასის დამთავრებისა როსტომ კონსტანტინეს ძე მესხიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა პირველი გიმნაზიიდან 1914 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 777 3—2

ივანე ბალიას ძე მალაევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბინაო დავთარი მისი სახლის, რომელიც მდებარეობს ვანქის ქუჩაზე № 4. 780 3—2

დაიკარგა ნ. მ. ბონდარენკოს, გუნიბის ქუჩაზე მესამე ბანდი № 3 მდებარე სახლის დავთარი № 6038. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 773 3—2

დაიკარგა ტფ. მეორე საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბილეთი № 768—600 მანეთს სალომე დავითის ასული დავიდოვის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 775 3—2

დაიკარგა ტყიბულის საზ. „ნახშირას" აქციები № № 0741, 0742, 0744. 0745, 0748, 0749 კარაპეტ თომას ძე ვართანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 778 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა პოლკოვნიკი ირიკლი ივანეს ძე ალექს-მესხიშვილის სახელზე, მიღებული მე-5 ქართულ პოლკიდან 1919 წ. ოფიცერთა ეკონომიურ საზ. გამგეობის წევრობის მოწმობა სურათით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 755 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1 ანა სიმონის ასული კაჩინას სახელზე, მიღებული სოფ. ბაბკინის სამმართველოდან (პერმის გუბ.) გაუქმებულათ ჩაითვალოს. 756 3—2

დაიკარგა პასპორტი № 487 პავლე ვასილის ძე კორენევსკის სახელზე, მიღებული საქართველოს მისიიდან ქ. კიევში 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 810 3—2

დაიკარგა პასპორტი დიმიტრი იორდანის ძე ნონიაშვილის სახელზე, მიღებული ქვემო ჭალის საერობო თემიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 794 3—2

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

იწვევს ბ. ბ. რწმუნებულებს მორიგ კრებაზე, რომელიც უნდა შესდგეს კვირას, მაისის 9, დილის 11 საათზე, საზოგადოების ბინაზე.

განსახილველი საგნები:

1. 1919 წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება ზედამხედველ კომიტეტის დასკვნით და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
2. 1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება ზედამხედველ კომიტეტის დასკვნით.
3. ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ.
4. 1919 წ. საზოგადოებაში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
5. არჩევა თანამდებობის პირთა: ერთი დირექტორისა თავისუფალ თანამდებობაზე; ერთი ზედამხედველ კომიტეტის წევრისა. სვეშნიკოვისა და ა. ფირალოვის მაგიერ; დირექტორის ერთი კანდიდატისა და სარევიზიო კომისიის სამი წევრისა, ზედამხედველ კომიტეტის მოხსენების მიხედვით. 451 2—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ ბაქრაძიანი.